№236
27.01.2011

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 27 იანვარი 2011 წ.

ერთის მხრივ *ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ქ.ბორჯომი რუსთაველის მ. №1 მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ქურდაძის სახით,* (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ჯორჯიან მიკროსისტემს“-ის, ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 დირექტორის დავით ბოლქვაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს საინფორმაციო-საძიებო სისტემის „კოდექსი 2007“-ის მონაცემთა ბაზის ყოველკვირეული განახლების ფაილების მიწოდებას.

1.2. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონის “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტისა და “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” 23-ე მუხლის შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება მოხდება წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის და მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარისწორების ფორმით.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი ცვლილება ან დამატება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

“შემსყიდველი’ _____ “მიმწოდებელი” _____

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე ააგებენ პასუხს აქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 შემსრილებელი უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკოსროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია;

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

"შემსყიდველი"_____ "მიმწოდებელი"_____

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

16.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მოთითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი გადაეცემა „შემსყიდველს“ და ერთი „მიმწოდებელს“.

“შემსყიდველი”

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1.
თი-ბი-სი ბანკი ბორჯომის ფილიალი
ანგ.№ 583030000001 ს/კ 220101762; საინდიფიკაციო კოდი 226161961;

/ ბ. ქურდაძე /

ბ.ა.

“მიმწოდებელი”

შ.პ.ს. „ჯორჯიან მიკროსისტემს“ ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2
ს/კ 202268517 ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ ა/ა №360201012900209, ბ/კ 220101922

ბ.ა.

/ დ. ბოლქვაძე /

“შემსყიდველი” “მიმწოდებელი”

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional